



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1623
03/09/2018

ქალაქი ბათუმი

1623-05-4-201809031714



გიორგი ქურიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 2 სამუშაო დღის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტებისა და გიორგი ქურიძის 2018 წლის 03 სექტემბრის №2528-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. გიორგი ქურიძეს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 2 სამუშაო დღე, 2018 წლის 03 სექტემბრიდან 04 სექტემბრის ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებულ მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა